

ଉଦ୍‌ବୃଦ୍ଧିର ପାଦରେ ଫେରିଦାନୀର ପାଦରେ





დათო მიქანაძე

**უნიგნური პაცის
ჰეშმარითი სისტემები**

2021



МОНГОЛЫН НАЦИОНАЛЫН БИБЛИОТЕКЭ

K336.261
3

ISBN 978-9941-8-3167-6




სარჩევი

მთვარის შუქი	7
ისევ სად	8
ჩანჩქერი	9
ლიტერა TURA	10
ეხლა ვისი დამეა	11
მომნატრებია	12
იმედის დილა	12
როცა მოვკვდები	13
სიყვარული ჩატანე	13
აცივდა	14
ფიროსმანი	15
ბალერინა	16
სივრცის განზომილება	17
ვარსკვლავთა ცეკვაში	18
ქარის ხმაშია	19
უპატრონო ქალაქია	20
მე ვარ მთვარის იმედი	21
სავსე ყანწის ცრემლები	22
ჩოხით ჩანასვენები	23
სხივი	24
სულის ფრენისა	26
შური არის მწუხარება	27
გაქრის ხმები	28
ხელო-VANI—	29

ჩაკეტილი ყვავი.....	30
ანგელოზი	31
მარგალიტის საყურე	32
მედეა	33
თბილისი	34
წერა ამიყოლებს	35
ეს გზა ისევ	36
ბედის კარი.....	37
ტბა	39
კვალის ამრევო	40
ჭა	41
ბედი	42
გულის ხმა	43
ლურჯი ფერები	44
მატარებელი	44
ტყის სივრცე.....	45
ტყეში გონება.....	45
ზღვა აღელდა.....	46
ოქროს წელის	47
ვანის ხმები	48
სავსე გული.....	49
ვავსო სკივრები.....	49
აინთება ჭაღები	50
ქარის ხმები.....	51
შუშის ფერია	52

გიყვარდეს.....	52
მხოლოდ დამე	53
მთვარის ნათება.....	54
გამინათე	56
ეს დუელი შედგება.....	57
ყველა მის თავს არგია.....	58
უკვალავი გზა.....	59
იასამანი	60
მზეს შევწირო	61
გულის ცემა	62
ფიქრი	63
გურიაში	64
ცისარტყელა.....	65
ლამაზ თმიანო	66
ჭადრები	67
საათი	68
მერცხალი	69
თვალის მზერა	70
shori de Shalz.....	71
ბოთლი	72
ფარულია ეს დუმილი.....	73
ღამე	74
ლამაზი წუთები.....	76
გალა.....	77
გამგებო	78



შვიად გამსახურდია	79
მეცნ	80
მიზნებსში	81
მზე და მთვარე	82
სიყვარული	83
ვანი ქაგანქუვიში	84
„სიმღერა საგალობელი 1“	85
„სიმღერა საგალობელი 2“	85
გისოსებს	87
გენატზე	88
ცა	88
თუ ხვდები	89
თვალები	89
მთვარე	90
სასაფლავო	91
თავს მადგია	92

მთვარის მუკი

ჩემი დარაჯია როცა თავს მადგია,
გავყევ მე ჩემს ლანდებს,
ჩუმად მთვარის შექშე ურცხვად მე რომ დამდევს,
ღმერთო რატომ მტანჯე,
ერთხელ დამეხმარე,
ჩარჩოს ვერ გაუძლებ,
სხვისგან შენაკერებს,
ჩემი უნარია თავის უფალი ვარ,
ეხლა ფიქრის დროა,
მარტო მთვარის კოცნა წელზე ხელის მოსმა,
ისევ ღვინის მოსმა,
ისევ ქალით თრობა...

0203 საჭ

რამ დაგადუმა დედაკაცო,
 რამ გაგვამრუდა,
 ისევ მუდამ ისევ ჩუმად,
 ღამის ლუკმა ზეცას უყვარს,
 მთვარე დუმს თან,
 ჩუმად, ჩუმად მომაკითხე ერთხელ ჩუმად,
 ისევ დუმხარ ბოლო ლუკმავ,
 ოს მწვანე კადლები შუქიც მწვანე ფერებში,
 ხელით ვერ გეფერები,
 ღმერთო შემეშველები,
 ეხლა ისევ ბნელში ვარ,
 მარტო გულში მღერივარ,
 ბანში არმყავს არავინ,
 ვინ ამიწყობს,
 ბანი ბანს თავი მხარს,
 ტუჩი-ტუჩი; თვალი- თვალს,
 ისევ სად, ისევ რა, ისევ აქ,
 ისევ ღმერთის სიჩუმე,
 მე ძენ გულში მიგულე,
 მთვარე როგორც მიყურებს,
 მოდის ჩემთან ნიავი,
 ავი თვალის მიზანით...

ჩანჩევირი

ჩანჩერი ზეცაში ატრიკალებულა,
წვიმად გადმომასხეს ამ მთის ნაკადული,
ქოლგა არ მიხსნია გული გამიხსნია,
ზეცას ჩაუცინე ხელი აუშვირე,
მზეო ალის ფერო მზეო დაბურძგლულო,
ჩემით გამითბება ეს გული უსისხლო,
ისევ მთის ჩანჩერის ვარ,
ვითომ წვიმის თქეშმი,
თვალის გულს მიყურე,
მზის აღ ანარეკლმი,
მიდი მთის ნაკადო
წვიმად ხომ მექეცი...

ლიტერა TURA

სიტყვა მორბის კოჭლისგან,
სიტყვა ქვებზე ნახეთქი,
ქვები გაედენთილია მატყუარა ტურებით,
ღმერთო რა მეშვეოლება,
ამდენ ტურის ყმუილში,
ვინ გამიგებს ამ წრეში,
ან რა მინდა ამ ტყეში,
მე შენ გიწერ ამ ენით,
თუ გამიგებ დაეშვი,
მე დაგხვდები ქარცეცხლში,
ჯოჯოხეთის ალებში,
სისხლიანი სანთლებით,
თავზე რქების ნატეხით,
მოდი გაძელ ამ დღეში,
ყმუილის ხმას რას ერჩი..

06 ლა 2020 დამია

ისევ ჩემი მთვარეა,
 ისევ ჩვენი დამეა,
 უტირალი თვალებით,
 დაიბნევა დრამებში,
 უცდელია არ ვცდები,
 გასწი ჩემო ღამურავ
 მაგ შავ გრძელი აფრებით,
 ამიოხრა ყოყოჩიმა,
 ჩემი ბედის მიზანი,
 ეს, დამურის წყვდიადის,
 უდაბური სახლები,
 სისხლიანი ხეებში,
 უხსოვარი დროიდან,
 უქსოვიათ წინაპრებს,
 აბრეშუმის ძაფებით
 ობობის ბადეებით
 ბედი ჩემი მთვარეო,
 მზის სხივებით ვეძებდი,
 ამ სატანის მსგავსებას,
 მისი შავი თვალებით,
 ეხლა ვისი დამეა,
 ისევ მე ვარ შავ დღეში,
 ჩემში ისევ დამეა
 უკუნითი დრამებით...

მომნატრებია.....

მომნატრებია შენი სითბო მსგავსი მზის სხივის,
 მომნატრებია შენი ფერი ვით ცისარტყელის,
 მომნატრებია შენი თვალები ვარსკვლავთა მსგავსი,
 მომნატრებია შენი ხმა ისე,
 როგორც ტალღებში გაშლილი აფრის,
 მომნატრებია შენი ღიმილი მთვარის სიგიჟით,
 მომნატრებია შენი ტუჩებით კოცნა ულევი,
 მომატრებია სიშიშვლეც შენი,
 ესე დასრულდა სიტვები ჩემი...

იმაზე დილა

ბედნიერია ყოველი დილა
 როცა თვალს ახელ,
 შენ ჭერქვეშ გღვიძავს
 არა წარ სიზმრად,
 არა წარ სხვის სახლს,
 დილას მორბიან ოთახს ბავშვები
 მეთამაშება მათი აზრები
 იმედს მისახავს ბავშვის თვალები
 დილა გათენდა მზით ნამთვრალევი..

როცხ მოგევდები

როცა მოვკედები მიმაბარებენ მიწას მატლიანს,
 თან დამაყრიან მიწას თან ქვიანს,
 მოსაღამოვდა ან ვინდა დარჩა ან ვინდა მოვა,
 გარდაცვლილი ვარ,
 იმედით რწმენით უფალს ვახლავარ,
 სამოთხის ბაღში ჩუმად დავდივარ და თან დავურინავ....

ციხმარშები ჩატანი

როგორ გავა დრონი მალე,
 რომ შენ მე პირადად შემიყვარდე,
 რომ შემოვალ თაიგულით,
 გულს მექნება სავსე გული,
 გაჩუქებ და მოუარე,
 გაუფრთხილდი თან ატარე,
 არტერიას მიაწოდე რაც აკლდება გულებს მალე,
 უნდა ავსო სისხლით მალე,
 სიყვარული ჩატანე,
 ის იუეთქებს არ ჩერდება,
 გულის ფეთქვა არემარეს....

აცივდა

აცივდა, უკვე, რა სინაზეა მთვარიან შუქწე,
აქ მინდა. ჩუმად, რომ ჩემთვის ვდუმდე,
ხის ჩრდილში ვდგევარ სიცივეც სულევს,
მე შემათბობდა და შემათრობდა
ადესის ფერი ტუჩები უცებ,
მაგრამ რათ მინდა არც მიღირს უკვე,
მე მინდა შევთბე და თან შევთვრე
იმერულ ღვინით, ფიალით შევთვრე...

ფილოსოფი

მუშაობისა მიმავალსა,
შემხვდა ერთი ქალი,
ეს არასდროს არ მქერია,
ვარდი ეკლის ასხმით,
აი ცეკვა გულის ფეთქვა,
ღვინის სმით ვარ ლადი,
სიმღერაზე აყოლილი,
მარგარიტას ხმაში,
მარგალიტის გულსაკილით,
მორთულია ქალი,
და ეს ვარდები,
შენ გულს ხვეული,
უკლოდ აფეთქებული,
ამ ლექსში ამღერებული,
ჩემი ფუნჯისთვის რჩეული,
თვალებით შეყვარებული...

ხალილიძე

მოხეტიალე ღამისა,
მარტო ვარ ქუჩის მთვარისა
თბილისსგაყოფილ მტკვარისა,
მთვარე არეკლილ წყალისა,
დავინახე გოგო ლანდში,
ბალეტს ცექვავს ამ შეა ღამით,
არც თხუთმეტის არის,
დაჭაობდა ჩემი ფეხი,
რა გაჩუქო ლექსის მეტი,
ან ნახატი მზგავსი, -
თეთრი ვარდების სურნელში,
დამიბერდები მუზებში,
მოფრინდა გოგო ფრიალით,
მტკვარი გაჩერდა იმ წამში,
მთვარემ გვაკურთხა იმ ღამით,
მარგალიტების წვიმაში...

სიმღერების განხილვაზე

წყარო მთისაგან გამორბის,
ვერ გავუგე რა მოსდის,
ცრემლი ასე რატომ სდის,
წყარო მთისგან გამორბის,
მთებში ღმერთი ჩამოდის,
მე ვინა ვარ ამ მთისა,
მყინვარს მარადისობის,
სივრცის განზომილება,
დროის დაცემინება,
მატერიის მიღება,
მთაში ღმერთის დიდება,
დედის ჭიპლარ ჩვეული,
ღმერთით დამშვენებული...

ავტორი: გ. გ. გ. გ.

გარსევალაპორა ციბიშვილი

შემოქმედის გონიერებისთვის,
 უსაზღვროა ფანტაზია,
 ხან ღრუბელზე წვდომებისა,
 ცას ირემის ნახტომისა,
 მთვარე ვარსკვლავს ანიშნებსო,
 ვალსის ცეკვა დაიწყეთო,
 ღამის ვწებით აინთეთო,
 მე ფარდასვე ჩავიწევო.
 ეს რა სცენა დამიდგესო,
 ძეგლი ცაზე დამიდგესო,
 ეს სიზმრად არ მაღირსესო,
 ცას ვარსკვლავნი დაიძვრენო,
 ნეტავ ვინ მოხატა,
 ან როგორ მოხატა,
 მე რით მომნათლა,
 ამ მთვარის სონატამ,
 სიწყნარე მოდევნა,
 ვარსკვლავთა ცეკვაში,
 ღრუბლებზე ვერ დავრჩი,
 სიკეთეს ვთესავდი,
 ვაზის ძირის ვწერგავდი.....

ძარის ხმაშია

კლდის ლოდსა ქვეშა მდებარე,
მე ვარ კოლხეთის კაცია,
გულშედ დამირგეთ ვარდია,
აყვავდეს მზისა დარისა,
წეიმამ მიზარდოს ვარდია,
მზემ გამიხაროს ობოლი,
აცეკვოს ქარის ხმაშია,
როცა ვარდს თვალი შეუდგეს,
იმწამს დაკრიფეთ ასხვისეთ,
ღვინოში პური ჩამილბეთ,
უღმერთოების ქალაქში,
მარტო ლოდიდა მაღირსეს...

ეს ლეგენდის ქალაქია,
გოლიათის სამარხია,
ჩვენი ღმერთი თავს გვახლია,
წმინდანებით ნატანჯია,
რიყის ქვების სარდაფია,
უპატრონო ქალაქია,
ქავჭავაძეს წიწამურში თავსახლიან,
განაპირას ნეტავ ხალხი რას აღნიშნავს,
ისტორიაც იძირება,
ღმერთი ჩუმად იმზირება,
ხელოვნების დოქის ბზარი,
ურჯულონის ქვის ბრალია,
სარაჯიშვილს რა ღვაწლი აქვს,
კუბოს ბეჭდით ნამარხია,
სამჯერ გადანამარხია,
გოლიათის სამარხია,
უპატრონო ქალაქია,
ღმერთის დასხა არ გვაკლია,
პური -ღვინოს ქალაქია,
ყარაჩოლის რა ბრალია,
უპატრონო ქალაქია...

საიდუმლო დღეობას,
გვირაბს გაქრა იმედი,
ქვის დარბაზის შვილები,
მზისგან ნაზი სხივები,
ზეიმს ნანადირევი,
უდმერთონის დღეები,
აქ ქურუმი დღეგრძელი,
კაცი ბრძოლის ველებში,
მტერი კულის ქნევებით,
კუდიანის დევნები,
მდევარს ბრძოლის ველები,
იდღეგრძელოს ქურუმმა,
მზისგან განაშვილები,
ვადღეგრძელოთ შვილები,
უფლისციხის მიწებში,
მარადიულ სივრცეში,
ჩემი ღმერთი ქურუმი,
მზისგან განაშვილები,
მე ვარ მთვარის იმედი...

სავსე ზარის ცრემლები

ჩემი თბილი კარები,
 უწყინარი ქრაქები,
 ერთი დიდი ნერვია,
 თბილის ღამის ლანდებში,
 უამრავი კარები,
 დილის სველი ზარები,
 მტკვარში კუნძულს ავედი,
 მუხამბაზურ ჰანგებში,
 ყარაჩოლის ქამრები,
 ღვინით გადამთვრალები,
 ჩემთვის ღია კარები,
 ჩემი მელიქიფეა,
 უსტაბაში ყანწებით,
 ჩემო გვარო ბედი სად გიწერია,
 ეს ლექსები ვისთვის დამიწერია,
 ეს წესია წესია,
 ხელოვანის ბედია,
 სავსე ყანწის ცრემლები,
 ხელის გულზე ფერებით,
 ვერცხლის ქამრის ტარება,
 სასახლესაც ჩამყვება,
 ჩემი თბილი კარები,
 უწყინარი ქრაქები,
 ამიელვდა თვალები,
 კარის ჩემი გაღებით,
 მთელ თბილისში ნავლელი,
 თბილი წყალის ნავლები,
 კარის ჩემი გაღებით,

ხანჯლის ზურგში ჩაცემით,
 წამის მეათასედში,
 ანგელოზის ხმა მესმის,
 სანუგეშო ვაება,
 ამღამითვე მთავრდება,
 ისევ ზარის ხმა მესმის,
 დაქანგულა ზარები,
 უგულოა რამდენი,
 ჩემი სულის ბორძიყით,
 მარტო დანაფეთები,

ჩოხით ჩანასვენები

ჩუმად კარის შეღებით,
 კაცი განასვენები,
 ჩოხით ჩანასვენები,
 ანგელოზის ვეღრებით,
 მადლიერი ბგერებით,
 ანგელოზი ჩემ გვერდით,
 თბილის ჭრაქით შევცერით...

ჩემი ღამის თენებით,
 ღამე მთვარის შეხებით,
 ამ უკვდავი ჯადოქრის,
 მულში ჩანაფერფლებით,
 ღამის ელვის ნათება,
 წამი წამში რად ქრება,
 ისმის ისევ გრუხუნი,
 აზრით გადაბუგული,
 ისევ მთვარის ნიშანი,
 ისევ მთვარის წყვდიადი,
 ისევ ჩემი დიადი,
 საპირწოდეც იქ არის,
 ქალი მორბის მგზნებარეც,
 მზისგან განაშიშვლები,
 ჩუმად ანატირები,
 ჩემთან მორბის იმედით,
 კაცი განძის სიტყვებით,
 ვარსკვლავს ვწმინდავ თითებით,
 მზისგან ისმის სიტყვები,
 გამაძღარი კაცივით,
 ოხ რა ქალი დამტირის,
 ჩემ სხივებში ავიშვი,
 როგორც ცხენის აღვირი,
 ქალოვ შენი ძახილით,
 კვნესა იყო რა თბილი,
 ჩემი სხივის ნაირი.
 ღმერთო ეს რა ხმა მესმის,
 მზისგან გადაბუგული,

შურით აალ მორტყმული,
ღმერთის უცხო პასუხი,
ო საწყალი გლეხისთვის,
არსად აღარც მეცალა,
ისე მოექცეოდნენ,
როგორც იმქალს ეკადრა,
აგერც მზე და აგერც მთვარე,
ვარსკვლავებთან ნუხარ ასე...

სეჭის ურანისა

არაფერია დასამალი ერთი დღეისა,
 ღამის თევისა ახსარებისა,
 მუხლის დრეკვისა,
 ზეთის ცხებისა,
 გულის ფეთქვისა,
 სულის ფრენისა,
 თვალის ცრემლისა,
 პირჯვარ წერისა,
 ბედოვ ვერ მიდან,
 აღსარებისას როგორ შევცვლილვარ,
 ღმერთის ნებითა მადლიერითა,
 მადლო დღეისა ღამისთევისა,
 დარდო შენ მიწავ,
 და ედემისა ქალი წეკნისა,
 ჩემ შავ ტილოზე,
 ფუნჯით ტიროდეს გალაკტიონზე,
 რატომ გაგყიდეს ამ შავ რიონზე,
 აღსარება გვაქვს მთვარევ იცოდე,
 არ შემიცოდო მარტო ვიოხრებ გულით ვიშორებ,
 არ შემიცოდო ცოდვას ვიშორებ,
 მტკვარო ვიხრჩოდე,
 ქალო მითმობდე,
 ღმერთო იცოდე გულით ვიოხრე,
 დათმე სიცოცხლე და მე ვიცოცხლებ,
 აღსდგეს სიცოცხლე მკვდარის რიონზე.

შერი არის მწესარიჩა

დამის ჩუმი მწუხარება,
ხარის რქების მდუმარება,
ძური არის მწუხარება,
როგორ მიყვარს მიძი ღმერთის,
გულის კარი თეთრი ფრთისა, ღმერთის ძისა,
გულ მტკიცე და გულ მშიერი,
ჩემ გულშია ანგელოზი ჩასახული,
თან დამიცვა დემონისგან,
აღვირი მაქვს ისევ ხელში,
ვაკონტროლო ჩემი გზები,
დამის ჩუმი მწუხარება,
მდუმარება, მდუმარება,
ის გახდება არ დალპება,
მფარველი ყავს ანგელოზი თანასწორი,
აღისრულოს ხარის მოხვნით...

განდრის ხმები

მინდვრის ფერში ბალახ სველი,
 გაპქრის ცხენი გაპქრის ხმები ხმები,
 მიწის ჟყლეტვის,
 გულის ფეთქვის,
 ცხენის ქვნეშის გაპქრის,
 სველი წვიმის თქეში ღრუბლის ხმებში,
 ბედი მერჩის რატომ მებრძვის,
 არ დავრჩები მასის ხელში,
 ყბედთა ყბედში,
 მე არამწამს ბედისწერის,
 ჩემი წერით სიტყვის ლეწვით,
 ფიქრი ერთი ფიქრი ერთი,
 გაპქრის ცხენი გაპქრის ხმები,
 გაგიკვალეთ უკვე გზები,
 ქარის ხმებში ცხენის ქვნეშით...

ხილო-VANI-----

ორმე მაფიქრებს არევით,
მთვარე მუქარის თვალებით,
შენ სიყვარულო გამეშვი,
დრო არმაქვს ბევრი ამ ქვეყნის,
ეს არეულა აზრები,
სადა მყავს ხმალის ამლესი,
აიეტისა მხარეში ჩემს სახლსა კარის გამოები,
დამარცხდა ჩემი მფარველი,
ბუხარს აალდა ალები,
გაწითლდა ჩემი თვალები,
მოდი დამადგი თვალები,
ოჯს ლამაზი თვალები
ვეფხვის შემტევი თვალები...

ჩავათილი ყვავი

გალიაში ჩაკეტილი ყვავი,
თავის თავთან გალექსილი არის,
დაქანგულა მისი ფარი,
უხმლო ყვავი უხმო არის,
ფიქრებშია წლების დარდით წლების გავლით,
გაახსენდა მერცხლის ხმები,
ცაში ფრენის სიყვარულის მონატრებით,
დაპუტულა მისი ფრთები,
გალიაში ნატანჯ წლებში,
დაქანგულა მისი ბედიც,
ვიღას ახსოვს ნეტავ ყვავი,
გაეხსნება ერთდროს კარი...

ანგელოზი

ანგელოზის ხელები მე სიკვდილში შემჭრელი,
 არ ვარ კატის ეფექტით დაბედილი ბედებით,
 ანგელოზის შეხებით სული განემორება,
 გვამსა დაუტირალსა თბილსა თვალ ცრემლიანსა,
 ანგელოზის ტირილი მეორეა სიცილში,
 ძავ ფრთიანის ძახილი სიცილითვე დამყვირის,
 სიყრუე მაქვს გონებას უწყვეტია ძახილი ძახილი,
 ეს სატანის გაზრდილი,
 და გაჩერდა ძახილი,
 მარტოობის სიჩუმე,
 ეხლა ჩემ წინ გამჩდარა ეს ემმაკი დანიშვნით,
 მე ანგელოზს შევნატრი,
 სად მაქვს ღრო ამ ვედრების,
 ანგელოზო ვეცემი,
 რადროს შენი ცრემლია,
 მე სამოთხეს ვერ ვევდები,
 ისევ სულის წვალება ისევ ცეცხლზე შებერვით,
 არ მაღირსეთ სიბერე,
 ღმერთო სად დამივიწყე,
 ცრემლიანი თვალებით დამიკეტე კარები,
 გასაღები მაჩუქე როგორ მახსოვს ის წლები,
 დედამიწას მატარე გაშიშვლებულ ფეხებით,
 სული ზეცის ტრიალში,
 ჯოჯოხეთის მიწაში რად ჩამაგლე მიწაში,
 ანგელოზო წამოდი არ დამტოვო მიწაში,
 შეგიყვარებ სიცოცხლევ ჩვენი ბედის ღრიალში,
 მოიხსენი მანდილი ეშმაკია ძან მშვიდი...

მარგალიტის საყურე თეთრი თეთრზე ნაკეთი,

ეს ქალია ნაძერწი თეთრი თიხის რა მესმის,
 მოპქრის ქარი ჭადრებში ბეთხოვენის ჰანგებით,
 არ დავიჯერებ არ დავიჯერებ,
 რომ ეს ქალია ჩემი გამგები,
 თი ჭადრების ისევ ჰანგები,
 მარგალიტია ჩემი სატურფე,
 ნუთუ გამყვება ცეცხლის ანთებით,
 ამისურდა გონება ქალის ტუჩზე ნაცქერი,
 მე არმჯერა ამ ღამის თეთი მარგალიტების,
 ქარი განაშიმვლები მოხუც ჭადრის სიბრძნეთი,
 მოდის ქალი თამამიად,
 ეს რა გრძნობამ მატარა,
 ბედის კარი მანახა,
 აი წამის ათვლები ჩვენი მარადისობის,
 დაიჯერე ცხოვრებავ ჩემი გულის ქონება,
 ავიხსნებით ჭადრებში ბეთხოვენის სონატით,
 მთვარე არა ტირილი არ გაბედო ტირილი,
 არ ჩამიქრო ეს ცეცხლი,
 მთვარევ დანატირებით,
 გადავლეწავ მარგალიტს,
 კერპთაყვანლად ვიქცევი,
 არ გამწირო ცრემლებით,
 მთვარევ დანატირებით,
 გაიღიმე ფარულად,
 ჩვენ ამ ღამის გმირები,
 გვრჩება ერთი იმედი,
 მთვარე განაღიმები...

მიზანი

ჯინზე განაქუნები ჩემთვის წანაყვედრები,
წაგიყოლა ვედრებამ გულზე აღარ მედება,
სიუმრად ვყვარობ მედეას,
თქვენ სიზმარს ვერ შეხედავთ,
ერთმანეთის შექება უცებ გულის შეტევა,
პოეტობას იფერებ აზრი გამომიქენე,
თქვენთან შეჯიბრებაზე აი ეს მთვარე მაქეზებს,
მედეასთან მახვედრებს არაფერს არ მაყვედრებს,
არსალ გამიგონია მთვარე მაქანკალობდეს,
აიეტის მხარეში კოლხეთის ნაკვალებში,
დიდი განძი მიწაში,

თხილისი

ჩემი ცქერით დაიღალა მთვარე,
 არეულა ბედის განაპირი,
 არეკლილა მტკვარზე მთვარე გადაღლილი,
 ეს ქალაქი გაყოფილი ორად,
 შავი თეთრზე შესამება მიქირს,
 ადრე იყო სილამაზე ირგვლივ,
 ეს თბილისო ჩუმად რატომ ტირი,
 ჩამიყოლე ცრემლით მტკვარზე ტივით,
 არც ღვინოა სადღეგრძელო ირგვლივ,
 მეარღნეა უპატრონო ბიჭი,
 არღნის ღრენამ ააცეკვა გიჟი,
 რა აცეკვებს უცხოელის ცხვირწინ,
 ის გოგონა გაყიდულა იმდღით,
 ეს მანდილო დანამულო, დანატირო, განაყიდო,
 განა კიდევ განახებენ მზის სხივს,
 რატომ ტირის ანგელოზი მისი...

გარდაუვალია დროის შეჩერება,
რატომ მეჩვენება წლებთან შევეძრება,
ნეტავ ეს ვედრება,
ფმერთო შემხედე რაა,
გარდაუალია დროის შეჩერება,
რა წამს უნანია რა წუთს უდარდია,
ფმერთო გამისწორე ეს მზე არეული,
ჩრდილს ვერ მივაგენი სხვის სახლს მივადექი,
საათს დავატარებ ვითომ სიტყვას მეტყვის,
მე ხომ დედამიწას შენით მივაგენი,
განში ჩამიბეჭდე ლექსით მინაწერი,
წერა ამიყოლებს როცა ჩვენ შევხვდებით,
გარდაუალია წერის გაჩუმება,
განა უფალია გულის მაოხრალი...

მივსეირნობ უდარდელად უბანს ფეხით,
 მასის ხმებში ყვავის ხმებში,
 დაჩხავიან რა უაზროდ გასჩხავიან მასის ხმები მასის
 ხმები,
 ლამპიონთან ჩამიქროლა ქროლვა ქროლვით გამიყოლა,
 ცას აყარა სული ზეცის ცა დარბაზად გაიტოლა,
 ბულბულის ხმაშ ჩამიქროლა,
 ცისარტყელას სხივს მოვპარავ,
 არცა მიწყენს გულის სიღრმეს,
 ამ უბანსვარ მარტო ისევ,
 გავინათო ეს გზა ისევ,
 სხივი ისევ სხვისთვის ისევ,
 გავანათე თბილისს ძირი,
 ნუდა მკითხავთ წარსულს იხსნი,
 გამვლელია ყვავის ჩხიკვი...

დასასრული ყვითელ სხივის,
 დღე დამით ვარ ღმერთზე ფიქრით,
 დამე მთვარის მოლოდინში,
 მოპერის ქარი მოდის ქალი,
 ბედის კარში ცეცხლის ალში,
 გულში ეწვის სატრაკო თავის,
 დავავიწყებ ამ დამითვე,
 ეხლა სად ხარ ღმერთო ერთო,
 მხოლოდ ქალთან მირბის თვალი,
 ვერ შეგხედე ღმერთო სახლში,
 თამამია რა ქალია რა სახისა და ტანისა,
 ადარ უნდა ამას ქმარი,
 აღსარება მომცა კარგი ცოტა მცდარი ცოტა ყალბი,
 მეც გავოგნდი ვითომ რამით,
 მოვაძორე თითზე კვალი,
 მარადიულ გულის კარი ბეჭედია ოს რა კარგი,
 ეს ქალია გახიზნული გაქცეული დაბნეული,
 მარტო ჩემთან გარკვეული,
 გუშინ დამით რა უქია თავის ქმარი,
 ეხლა ჩემწინ ლანძღა ქმარი,
 ეს რას იტყვის ჩემზე კარგის,
 ღმერთო ისევ გამახსენდი,
 რომ წავართვა ოქრო ხელზე,
 არ გაბედო ცოდვად შეგჩეს,
 ამ ურჯელოს და უსულოს,
 არ ვაღირსებ ოქროს ხელსე,
 ოს ნეტავი ოქრო შემრჩეს,
 რატომ არ მცემ პასუხს ღმერთო,

სიბრაზე გაქვს ალბათ ჩემზე,
აი ქალიც იხდენს მანდილს,
მორცხვად იქცა თავ დახრითაა ცრემლის ღვრითაა,
შეიმოსა უცებ ქალი
სინდისია უკვე მასშიი,
აი გხედავ ღმერთო ერთო,
იმოქმედე უკვე ქალში,
გააბრუნე ღამით სახლში,
აუხილე ბრმებსა თვალი,
ეხლა უფრო შემიყვარდი,
მე მარტოვარ ისევ სახლში,
ღმერთს არაკლავს ჩემი დარდი,
მერომ მინდა სხვისი ქალი,
მიპქრის ქარი მიპქრის ქალი,
დაიკეტა ბედის კარი,
მონადირე ვრჩები სახლში,
კი მომბეჭრდა სხვების სახლში,
ქმრების სახლში ქალზე დატი,
დანანიშნი ბეჭდის აზრის გაფანტვისთვის,
დასასრული თეთრი სხივის,
ფერ წამხდარი მთვარე მიცდის,
დავაძინო იქნებ მზის სხივს...

ტბასთან რაღას მოველი,
 რაღაც ტბის ძირს მელიან,
 ისევ დადუმებულა ეს ტბა თავის გონებით,
 როგორ მინდა გადაეხტე უძიროა გონებით,
 საიდუმლო ჭორებით,
 ქალთევზა რომ გამოჩნდეს,
 ტბაში ჩავიხრივებოდი,
 ადელვებულ ტბასთან ვარ არსად მოსჩანს მზის სხივი,
 ამიტირდა ტბა ისევ დაიწინდა ტალღები,
 ანარეკლმიც გამოჩნდა მზის სხივები სიღრმეში,
 აი თურმე რატომ ვარ,
 ქალთევზაც რომ ამოხტა ტბის უძირო სიღრმიდან,
 ოხ რამხელა ფრთები აქვს ფრთები ანგელოზისა,
 მზისკენ მიპერის სხეულით ვიყო მისი რჩეული,
 აი მზისგან სხივები,
 და დაეწვა ის ფრთები,
 უკვე გაწირულია მზის სხივების ტრიალში,
 სად მყავს ბედის ტრიალი,
 მიწას დანახეთქები ტურზე სისხლის წვეთებით,
 ქალი განაღმერთები,
 მის თვალებს რომ ჩავხედე სიტყვის თქმაც ვერ გავბედე,
 უძიროა მშვიდი ტბა უძიროა თვალებიც,
 ქალის სუფთა თვალები სულის სარკის გამღები,
 სული განატევები მზისგან დანახეთქები,
 მივაბარე ისევ ტბას ვერ ვაკადრე მიწის ქვა,
 ამდვრეულა ისევ ტბა აალუდა ცრემლები ჩუმი
 ჩანასვენები...

პდელის ამრავო

ადი მიწაზე რწმმენას მიაგნებ,
ადი მიწაზე გარდაისახე ჯვარი იმავდლეს,
გასწი იჩქარე გადაიარე გადაიარე,
ყველაფრით დაღლილმა გადაიარე,
მემკვიდრე არის შენი სიმართლე,
ღმერთის წინაშე სხვას წუ ინატრებ ხალხს წუ მიაგნებ,
ადი მიწაზე გადაიარე,
დატოვე ერი დატოვე მთებით გადაიარე გადაიარე,
გულს წუ ჩაიწყვეტ მარტო გაიკვდევ,
არავის არ ყავდი გულის სამიზნედ,
იმ სილამაზეს გადააყარე სამარის მიწა,
არაფრად ღირდა მეძავად იქცა,
ოპოო გამგებო კვალის ამრევო,
ღმერთო გამიშვი დამბულ ძაღლივით.

გაყინულა ჭაში წყალი,
 უწყლობით სულის დაცლით,
 ცას ვარსკვლავის ჩამოწყვეტით,
 დაიცალა ჭაში წყალი,
 როგორ ძინავთ მკვდრებს ამ ღამით,
 რა ცოტაა გარდაცვლილი,
 გვარის შვილი კაცი ტირის,
 დარდი მისით ღამის ნისლში,
 გზა ჩაქრილი ხატ ნაფიცი,
 გადის მთვარის დახმარებით,
 გაუახლდა უკვე გზები,
 ვის გადავით გულის ხმები,
 ჭა ისევა დანაცლელი,
 ჭა იცლება განაჩენით,
 ჭას მკვდარია ჩანაგდები,
 უპატრონო სახლი ჩემი,
 არ იშლება საფლავები,
 ჩარგულია დიდი ქვები,
 დამიმატეთ ერთი ჩემთვის,
 ჩემი სულის ძესაფერი,
 რა ერიც ვართ სიტყვის მთქმელნი,
 გადამსახეთ მინდვრის ქვებით,
 რად ჩამქოლეთ ცივი ქვებით,
 გადის წლები მიწის ქვევით,
 აიი ღმერთო გავახსენდი,
 ქალის ცრემლი ქალის ცრემლით,
 დამინამა მიწა ხმელი,
 რა მეამა სულზე ცრემლი,

რა ყოფილა თბილი ცრემლი,
 გაივსება გული ჩემი,
 გაივსება ჭავ კი ჩემი...

ხიდი

ჩემი ერის მკაცრი ბედი,
 თვით მკვლელია განა ღმერთი,
 ღრმად ნაფიქრი ღამის თევით,
 ამინს ვეტყვი მადლიერი,
 აი ისევ შავი ფრთებით,
 რატომ მერჩი რატომ მებრძვი,
 გახრწნილია ჩემი ძვლები,
 ჩემი სულის არ გაქვს ბედი,
 გავაჩუქე ღმერთის ნებით,
 შავ ფრთიანო შხამიანო,.....

გულის ხმა

გაყინულა ხეები ზამთრით განაშიშვლები,
 ეხლა ისე მაკლია ქალი წანადირევი,
 ვებრძვი ზამთრის სიცივეს,
 ვინ გამათბობს თვალებით,
 მოელვარე წამებით,
 კადრებია ფერებში,
 ია ვარდის ფერებით,
 გაოცებულ ფერებში,
 თან დამეწუო ფილტვების ამოსუნთქვა ისეთი,
 როგორც ლომი ირემის,
 კაცი წანადირევით,
 არ ისვენებს გულის ხმა,
 ტვინში განასხივები,
 განა სხივებს ვაღირსებ,
 უღირსების საქციელს,
 ამიდუდა ძარღვებში სისხლი ჩუმად გამსვლელი,
 აი ეხლა ითოვე გულშე გადმომათოვე,
 აორთქლდება სიცივე აი ქალის სიშიშვლე...

აურგი ჰერები

შენი სამყარო შავი ფერია არაფერია,
 ჩემი სამყარო ლურჯი ფერია ყველაფერია,
 არვარ გამგები შავი აზრების,
 ნუ დაიღლები შავ თეთრ კადრების ახსნა მართლებით,
 აი ღიმილი როგორ მემჩნევა,
 ლურჯი ფერებით თან ვეფერები,
 გულით ყოველ წამს გულში ისევ მწამს,
 გული ირკვლავს ლურჯა ფერებსა,
 ნაში ფერებით მოგეფერები...

მატარებელი

მიმაქროლებენ შავი რელსები,
 ისევ გუგუნებს ჩემი ლექსები,
 აღარ ჩერდება მატარებელი,
 ჩემ გულს დარდი აქვს სატარებელი,
 თან რა ცივია შავი რელსები,
 რკინის ბორბალზე ანალესები,
 ჩემი გულივით განასერები,
 მიმაქროლებენ მატარებელები,
 ჩემი გულია ახლა რელსები,
 ისევ გაუძელ სატარებელით,
 აღარ ჩერდება მატარებელი.

ტყის სიმრბე

დატვირთული აურა უარყოფით ტვირთებით,
 ენა გაფლენთილია უარყოფით სიტყვებით,
 მოდის ჩემთან აურა აურაცხელ ლოდებით,
 აი დამწერულ შფოთვები,
 განმარიდე უფალო ამ უსულო ხროვებსა,
 დატვირთული აურა უარყოფით ტვირთებით,
 გაიღვიძე გონებავ ზნეობრივი სიბრძნეთი,
 ნუ დაუცდი უფლის ხმას,
 არ დაბერდე იმედში,
 გასწი ჩემო მეობავ,
 ტყის დამალულ სივრცეში...

ტყის გონია

ჩემი ოცნება ტყეში გონება,
 მომაგონდება ჩემი ცხოვრება,
 დგება დღეები ფიქრი შემჭმელი,
 რა ვქნა ასეა ბედი შეჩენით,
 ჩემი ოცნება ტყეში გონება,
 ტყის ფილტვებია ფოთლის შერიალი,
 გულის ტიალი გულის ტიალი,
 მოდის ცხოვრება ტყეში გონება.

ზღვის აღმაღდა

ახლა ჩემ წინ ზღვა აღელდა,
მოგეპარე ჩუმად ეხლა,
გამიტაცა ისევ მზერამ,
ისევ ხმებმა ტალღის ღელვამ,
ოცნებად მაქვს აქაფება ტალღით ფეთქვა ისევ ვნება,
არ ვიცოცხლო მე იმ ქვეყნად,
თუ არ მყავდე გვერდით ყველგან,
ოს გამექცა სისხლი ვენას,
გული ფეთქავს სული ქრება...

ოპერა წელის

მელანდება სახე ერთის,
 გავაყოლე წარსულს ჩემით,
 არ მსურს წარსულს ვღვარო ცრემლი,
 დამიგუბდა გულის ცრემლი,
 გადამათრო ღვინით ერთი,
 გავიხსენო თავის ვნებით,
 სად გაუძვი ჩემი ხელით,
 ნეტავ არის ბედნიერი,
 ვერ აყვავდა ჩვენით ერი,
 სად გაგიშვი კარგო ჩემით,
 დამაბრუნე სამოთხეში,
 გამიახლე ოქროს წელი,
 შემოგხვიო წელზე ხელი,
 გამიჩერე ეგ დრო ხმებით,
 გამიღიმე ჩუმად ერთი,
 სად წახვედი გოგოვ მეტყვი...

ჩემში დამალულია ისე დაფარულია,
 არ მაქვს ალბათ სურვილი რომ აუშვა დუმილი,
 მიდი ჩემო დუმილო ჯაჭვით შემოქედილო,
 არ დამტოვო განცდებში აღმოვჩინდები მახეში სისხლიან
 თვალებით,
 ერთ დროს მირონ ცხებული სამარეს მიგდებული,
 არა ჩემო დუმილო არ დამტოვო განცდებში,
 ვიყო სიღატაკეში ხორციელი წვალებით,
 სულიერი სწრაფვებით ანი ბანის გამგებით,
 ვიყო დედამიწაზე დედის გულის ხარებით,
 გაიხარე სამშობლოვ რომ მაჩუქე ხარები აღმართს
 ვთესოთ ყანები,
 ამილესე აზრები დუმილს ვეთაყვანები,
 ვანის ხმები ჩამესმის ამ ლექს ჩანაჭედები,
 გავაჭენებ დუმილო ცხენებს ხელის შეხებით,
 გზა ერთი მაქვს რჩეული გულით გამორჩეული,
 არ დამტოვო დუმილო, დამალულო დუმილო...

ცავსე გული

მოდის ჩემთან სავსე გულით,
ხელს გაუწვდი სიყვარულით,
მიფათურა ტვინში ხელი ამირია უცებ გზები,
აი მესმის ეხლა სხვების,
სიყვარულის მონა ვხდები,
დავიჩოქებ ეხლა ძენ წინ,
ჩვენ გზა გველის უკე ერთი ულევ გზებით,
ერთიანად შევადნებით სიყვარულით სავსე ხმებით,
ამაყვირე სამ ხმად მთებში,
სიცილისგან თვალი სველი, სიხარულის მოგვდის
ცრემლი,
სავსე გული არის ჩვენი არ ექნება ბზარი ერთიც...

ვაპსო ჰეიმრები

ყველას გაუმია მულში გაუვლია,
რა უმწეოდ ვაწყდები თანაც ვიცი მე ოდესღაც გავწყდები,
ოხ რა მალე გავქრები,
მზის სხივებმა მაცდუნა მატყუარა სხივებით,
გამიყვანა სახლიდან გაზაფხულის იმედით,
დღე კი გადის სხივებით ფრთებიც უკე გამეხსნა,
ჩემი სანატრელია ზაფხულს ვავსო სკივრები,
ჩემი თაფლის იმედით ფუტკრის ნანადირებით...

შემოქმედის აზრებით არ ინთება სანთელი,
ვინ გაგიგებს გამგები არვინ არის გულის კარის გამდები,
შემოქმედის აზრებით არ ინთება სანთელი,
ჩემში გადის სხვა ველი,
არა მიწიერისა ზებუნებრივ ძალების,
მოდის ჩუმი ბერებით მათამამებს ფერებით,
მოფერება ბერების უსიტყვოა ძახილი,
მაგრამ მე გულს მენთები,
გონებაში შენ მრჩები,
მოდის ველი ველებით,
გულის ცემით შეგხვდები,
შემოქმედის აზრებით აინთება ჭაღები,
შემიქმედის აზრებით არ ინთება სანთელი...

დამე ბნელი შორი ხმები,
დამეკარგა ქარში ხმები,
ვერ გაგონებ ჩემ ხმას კარგო,
ჩემ თვალს ისევ ენატრები,
შავ ღრუბელმა გამიფანტა ვარსკვლავები მოჭედილი,
არც მთვარეა ღრუბლის ქვევით,
თან ავყევი ქვაფენილებს,
ქუჩა ბნელი ქარის ხმებით,
იანვარი, თებერვალი, მარტის მერე უკვე ვტკბები,
დამე ბნელსა მდუმარედა ლამპიონი თავის ლანდით,
აი ჩემ წინ მივარდნილი აივანი,
ქარი მარხევს გაყრუებულ ქარის ხმაზე,
აი ლანდში ქალის თმები სახით რატომ მემალები,
მივარდნილი აივანით აი დამხვდა სახით ქალი,
სანთლის შუქზე ღიმილ ტუჩზე...

შენი თვალები შუშის ფერია,
 რატომ არგავხარ გოგოვ ფერიას,
 ჩემი თვალები სარკის ფერია,
 ვერ გაგიყოლებ ეს გზა ჩემია,
 გადის დროება მოგაგონდება,
 უსარკო თვალი მხოლოდ შენია,
 თიხისგან ხარ გოგოვ ნაძერწი,
 უცებ გამქრალა შენი აზრები...

გიყვარდეს

გიყვარდეს, გიყვარდე მიწამე სულითა,
 მიწავ მე ბელტებს ნუ დამაყრი,
 სხვებთან ვარ ამაყი სევდას ნუ დამაყრი,
 გიყვარდეს გიყვარდე მიწამე,
 გადმოგცემ სულიერ სიმრავლეს,
 მიწამე სულითა მიწამე,
 რად გინდა მიქელას მივყავდე,
 დრომ იცის სიტყვების სიმრავლე,
 მაწუხებს მე გულის სიმჟავე,
 გიყვარდეს, გიყვარდე მიწამე...

მხრიდრო ღამე

ხალხის ტვინში წლები მიჰქრის,
ფიქრებითა დამის ნისლი,
გამოქვაბულს მინდა შიგნით,
ჩემს გულის ხმას ჩაუღრმავდე,
ორმად გავძალო ნისლი აქვე,
წინ გავწიო ბედი ჩემი,
კიდევ ცდაა ერთი ჩემი,
თან მოიტანს გამარჯვებას,
ჩემს გულის ხმას ჩაუღრმავდე,
სიგიურა მხოლოდ დამე...

მე ვარ ხის კენწეროზე,
შინ გარეთ თუ პლანეტას,
ხმები მე ყურს ჩამესმის,
სიგიჟეა ხის ძირსა ყურ მოქრილი ხალხისა,
არც დარდი მაქვს არცერთის,
ხის წვერს ისევ მარტოვარ გადის წლები რამდენი,
ერთს დაუთმობ ადგილსა,
გოგო მოკლე კაბითა აბრეშუმის ძაფითა,
ტანი გიტარასავით მე დაუკრავ ღამითა,
და თან მთვარის ნათებით,
ვარსკვლავ მოცახვახენით ანარეკლი თვალებში,
ნუთუ მართლა ახდება რიალობად დარჩება,
მე არასდროს ვჩერდები შთაგონების ვედრებით...

ნიღბიანებს მოვრჩი

ჩემი არც იყავი წარსულს,
შენი ნიღაბი ხელთ მქონდა,
დიდი მსახიობი ვხდები,
როცა როლს ვერ ირგებს ბევრი,
ჯერ კაბა ჩაიცვი შენი,
ნიღაბს მოუკლია სხვები,
შეგხვდა უზნეობის სენი,
მოდი სიყვარულო ჩემში იყოს გულის კარი შენი,
ქალი ნიღბიანი რას გავს?
სულის სიმახინჯე ეტრფის,
იყოს ეს ვირთხების ღრენა ქალი სირაქლემის როლში,
როგორ დამიწყნარდა სახე როცა ნიღბიანებს მოვრჩი.

გამინათი

რამდენს ვფიქრობ ჩუმად მჯდარი,
 სანთელს სანთლით ჩავანაცვლებ,
 სიბნელეს ვარ მარტო კაცი,
 მთვარის შუქი სამად იქცა,
 გამინათე სამად ხატი დავინახო ბნელსა კარგი,
 სამყაროა ზღვისა ტალღით,
 ერთი წვეთი ხომ ვარ წყლისა,
 დამინახეთ ჩუმად მჯდარი,
 მთვარის შუქი სამად იქცეს,
 ეს არსება მებრძვის ისევ
 ჩემ გონებას ჩავაკითხე,
 გულის სივრცეს გულის სივრცეს,
 გამინათე სამად ხატი დავინახო ბნელსა კარგი.....

ეს დუღუში შედგინა

ჩამიქროლა გოგონამ მოკლე კაბაც უქროდა,
ვერ ისვენებს ფიქრშია ეს გოგონა ჩიხშია,
გონებაში გაისმა ეს საათის წამები მარტო განაწამები,
გავიხარო ცხოვრება მოკლე კაბის ძალებით ამ მაცდური
აზრებით,
გოგოს ხმა აქვს ბუღბულის,
ჩამიკეტა ურდულით გასაღებიც მოირგო მკერდზე
დაკიდებული,
გონება მაქვს ჩიხშია დუელს გამომიწვია,
არ დამტოვებს სხვისთვისა,
მისით გამომიწვია,
ეს დუელი შედგება ღამე ჩემს მკლავს მეწვება,
სამუდამოთ დამრჩება გოგოვ შენი ხმა ტკბილი,
ღამე შენი ძახილი
ღამე შენი ძახილი...

ყველა მის თამს არგია

კომპასს არეული აქვს აი მოვიდა ურია,
გზას გავიკვლევ ამ ტყეში,
აქვე ნასახლარია, უპატრონოთ აგდია,
ყველა მისთავს არგია,
გზა მაქს გამრუდებული
მიწაშია სიმდიდრე ცრემლით დასვენებული,
მე ჩამწყვიტა მას მერე გული დასვენებული,
ვერვისვენებ წლებია ეს რა ბოდვა მჩვევია,
ვერც კი ვატევ ჩემს გულსა,
ნაღვლიანი სიტყვები გავაძევე გულიდან,
თქვენი ნდობა მომინდა,
გულის ყურით მისმენდი,

უკგალავი გზა

ეხლა გზაზე თოვლია უკვალავ გზას წავედი,
აი ხალხი რამდენი,
ყველა დატვირთულია დარდიანი თვალებით,
ყველა ჩაფიქრებული,
ზურგზე მოკიდებული იმედის ვართ წამოები,
ფეხზე მოკიდებული ცეცხლი მტრისგან დანთებით,
გულზე ხელის დადებით,
გვესახება ჯვარები,
ჩვენი რწმენის ძალებით,
სირაქლემად არ ვხდებით,
უსილოა ეს შიწა ყვავით ანაყვავები.

01220260

იასამანის ყვავილო ნაზად ჩამოტანილო,
წყაროს გატან ვეღრებით,
ჩვენ სამოთხეს შევხვდებით,
მერე მოგეფერები,
არ იქნება განკითხვა იქ ნიღბები არვის აქვს,
აქ ბედმაც კი მივიწყა ისე გადამივიწყა,
იასამნის შეხედვით თვალი თვალწინ ფერებით,
წყაროოს ხმაა ჩვენ ქვევით,
სიყვარული სულ ზევით სამოთხეში შევხვდებით,
აქ სარკეზე შეხედვით კიც გამეგოა ეგ წლები,
წყაროს ხმაა ბერებით იშვიათი ჟღერებით,
იასამნის ყვავილო წყაროს გატან ვეღრებით...

ფეხის წვერზე დაისიო,
 სიო არხევს გოგოს კაბას,
 თეთრ ღროშას ვწევ მის წინ ახლა,
 მზემ დახედა ღია სცენას,
 და გახედნა სხივი ერთად,
 გოგო ცეკვით სხივებს არღვევს,
 სიო კაბას როგორ აქნევს,
 აეს გოგო დედის ერთა,
 მზეს შევწირო უნდა ეხლა,
 ძევანაცვლე დროშა ხმალით,
 არც ჩემი ხარ არცა სხვისა,
 მზევ შენია აი ეს ქალი,
 ვახ რა ტანი ვახ რა ტანი,
 უცებ ყრუ ხმა მესმის თავში,
 ქალის ხმაა დრაკონს მსგავსი,
 სხივებია ბაწრის მსგავსი ახლართული გოგოს ტანში,
 სიშიშვლეა უკვე ცაში,
 მზემ აიძვა ვნება ცაში,
 ქალის ხმაში მზე გაწითლდა,
 გოგო შიშვლად ცეკვავს ცაში,
 მზემ ცას ფარდა გადაკიდა,
 ძეხება აქვთ ოხ რა ნაზი,
 მოცეკვავეს ვხედავ ლანდში,
 რა გრძნობაა ნეტავ მათში...

გულის ცემა

ჩემსა სახლსა არ ჩაქვრება ჭაღები,
მოხვალ ერთხელ?
ჩუმად შევხვდეთ?
არ აგინთებ სანთლებსა,
ჩემსა სახლსა არ ჩაქრება ჭაღები,
მოდი ვარდო ამიცრემლდა თვალები,
მიხარია რომ ჩაგხედავ გადიდებულ თვალებში,
მოდი ჩემთან მომენატრა გულის ცემა გულის ცემა,
არა ფეთქვა არა ფეთქვა,
მომენატრა გულის ცემა, გულის ცემა ...

ფიქრი

ფიქრი იმდენია
აბა ვის სახლს მივალ...
ფიქრმა ამირია გზები დაკვალული,
ჩემს სახლს მივადექი,
ჭიშკარს მივაწექი,
დარაჯს მივაკითხე ჭას იცი რა ვკითხე,
ჩემს გარდა ამ ეზოს ვინმე თუ აბიჯებს,
ჩემო საფიქრალო ჩემო საყვირალო,
ჩემო მწუხარებავ გულით მაკლიხარო.

გურიაში

გურიაში წვიმის თქეში,
სიწყნარეა ირგვლივ მთებში,
ღრუბლებს მიაქვს კვამლი ცეცხლის,
საფლავია აქვე ერთის,
სასმელს მიჰყვა ყანჩით ხელში,
რად გაწირეს დედულეთში,
აქ ცრემლი სდის მთებსა ბევრი,
აქ წვიმაა ირგვლივ მთებში,
სუფრას მესმის ყანჩით შესვი,
სიცილია ახლა ჩემ წინ...

ვისარგდება

ქერა თმიანს თმა მკლავისა
თან ქარისგან ახლართულსა,
ტუჩ-ტკბილ გოგოს,
ენა ვირსა,
თვალ განიერ ფართო ცისა,
ცისარტყელა ლამაზია,
ცისფერთვალას გული ქვისა,
მის ქერა თმას ცელი მტრისა,
ენა ვირსა დაეკისრა,
ხის უდელი ულევ გზისა,
ვახ სიტყვებო რატომ მირტყამთ,
მეცოდება გოგო სხვის მკლავს,
აბობოქრდა ეხლა გული,
გვიანია სიყვარული...

ლამაზ თმიანო

ლამაზ თმიანო,
გულის ნიავო,
იის ფერებით მოგეფერები,
გულზედ დაგაყრი,
ნაზად შეხებით,
მოგეფერები,
მოგეკედლები,
ლამაზ თმიანო,
გულის ნიავო...

ტადრები

აძრიალებულ ფოთლებით,
დადუმებული ტოტები,
გაორებული ლანდები,
ოხ ეს ჭადარის ნამღერი,
მარტო ვართ მთვარის თანხლებლივ,
კაცი არ არის გამვლელი,
მარტო ხარ ჩემს წინ გაჩერდი,
აი ლანდების ვალსები,
ორი ჭადარის ნაცეკვი...

მე ჩემ საათს ვუყურებ არეულა ისრები,
 არეულა ჩემს ქალაქს ურჯულონის სისხლები,
 უნაყოფო ჯიშები ფუტლიარი ვირთხები,
 ზემოდან კი მანათებს,
 ცაშედ დიდი საათი მისი ნაზი სხივებით,
 თან იმედის ნიშნებით,
 მათბობს ძვლების სიღრმეში,
 გონებაში იმედით გონებაში იმედით,
 გასწი ჩემო გონებავ სითბოს სხივებს მიჰყევი,
 არ გაჩერდე ფარგლებში არც ჩარჩოს ხარ გამგები,
 გასწი ჩემო გონებავ ედემის ნაბაღებში,
 გაამრავლე ვაშლები,
 სახლი კლდეზე აშენე,
 სილაზე ნასახლარის უზნეობის აზრები ,
 მე გავცდები გონებით სხეულს თან წავიყოლებ,
 დროის რდვევას ვესწრები,
 დროში არეულია მწვანე შუქის ფერები,
 გვირაბსაც ვეფერები,
 უკვე გასაგებია მზის სხივების შეხების,
 აბა კარგათ ცხოვრებავ თბილად გემშვიდობები,
 ვტოვებ თბილის უთბილოს არეული ისრებით,
 მაგრამ მემაქვს იმედი გონებაში იმედი.

გერცხალი

გაფრინდა ფრინავს მერცხალი,
ბუდე შენილი ნისკარტით,
მიფრინავს უკან დამყურებს,
ცრემლი არა სდის ნისლად ჰქონის,
არუშავს ჩემო მერცხალო დარდს ნუ წაიღებ ნისკარტით,
ბუდე აშენე თბილადა,
დაბუდრდი ჩემო მერცხალო,
მშვიდ ძილსა მონატრებული,
იფრინე მხოლოდ წინ და წინ,
გაფრინდა ჩემი მერცხალი,
ნისლში წითელ ხაზს მიტოვებს...

სიბნელე მაქვს ოთახში,
სიმყუდროეს ვერ ვიტან,
როცა ჩემ გვერდს ვერ გძინავს,
რატომ გარბის დღეები,
დღეს თუ ხვალ ან ზეგ დილას,
ჩვენ კი გაგვდის დღეები მერე სანანებლები,
რისთვის ვკარგეთ დღეები,
ნუთუ ამას ვერ ხვდები,
შემოიხსენ საათი სულ ჩემ გვერდით იქნები,
მერე გაგახსენდება ჩემი თბილი ხელები მოალერსე
ბგერები,
ჩემ მიმიკებს ეხები,
თვალის მზერით შემწვდები...

SHORT DE SHALZ



ნაწვიმარ ბალახს დავადგი ფეხი,
მიუახლოვდი მთის ძირსა მთებით,
დადუმებულა სოფელი ჩემი,
არც მთლად მარტოვარ საფლავის ქვებში,
მოლაპარაკე აქვე მყავს ერთი,
მიმძიმს გონება ნაწვიამარ ქვებში,
გავქრები უცებ რიონის ხმებში,
მთვარის შუქია ლამაზად ჩემს წინ...

ბოთი

მე სიღრმეს ვარ ნაჩვევი,
 ოკეანის ტალღებში,
 მიქრის ჩემი გონება,
 ამ ქარსაც უტოლდება,
 თოლიების ჰანგებში,
 ვედარ გავძლებ იქ ტბაში,
 შემოფარგლულ საზღვრებში,
 ყვავების ნაჩხავლებში,
 ოს ეს ქალის ვედრება,
 რატომ მე გულს მედება,
 ცურვის დროს ვარ დრამებში,
 ნეტავ ვიყო თვრამეტის,
 არ უსმენდი არავის,
 გულისყურის ბოდვასა ილუზიის ქონასა,
 ჩემი სიტყვა ტალღებში არსად ჩაიძირება,
 დროს გაუძლებს ეს ბოთლი,
 მერე გამობრწყინდება ნაფვინარი სიტყვებით...

გახმა ხელსა ბეჭდის თითი,
 მიშელია თიხა სხვისთვის,
 ოქრო ბრწყინავს სილის შიგნით,
 განძს სად ვეძებ ნეტავ ვიცი?!
 დახურულ კარს უცერ ჟინით,
 ეს ხომ გენში გამჯდარია,
 გაუდენთილა ჩემი სისხლი,
 ქვიშის საათს ვამტვრევ ჟინით,
 გავიხედე მარჯვნივ ცხვირ წინ,
 გაღებულ კარს მივალ ნისლშიი,
 სითეთრეა აქვე, ირგვლივ,
 მზე ჩანს ნისლში დაფარული,
 დამალულს ვარ დატანჯული,
 ფარულია ეს დუმილი არ გაჩერდე ისევ ნისლში,
 მზეს შეახე შენი თითი,
 გაგითბება გული ვიცი,
 ეს რა მძიმე გზების ტვირთი წინ დაგხვდება ეს მე ვიცი,
 მაპატიე მე ამისთვის,
 მენანები ამ დროისთვის,
 ვერცა გყვარობ შორსხარ იცი,
 გამომხედე კაცის ჟინით,
 მაპატიე ყველაფრისთვის...

ოს ეს კაცი როგორ დამზღვევს,
 თვალით მიცემს ვნებას აპყვეს ვაიძულებ ცეკვას აქვე,
 აი ჩემი გამოწვევაც,
 მკერდს ხელი კი ავიპარე ნელა ნაზად ჩავიწიე გულსაყიდვი
 მოელვარე,
 გრძელი ფრჩხილი ჩემს ნაზ მკერდზე გადავისვი,
 ტანი ნაზად გავიმართე,
 მართლა ვატყობ წყურვილს ამ შტერს,
 მესმის უცებ სიტყვა მისი,
 ხმის ტემბრია ვახ რა მშვიდი,
 ამიხურდა სახე ვიცი,
 ვერ გაურბი ვინ ვარ მისი?!
 არა ღმერთო არ ვეკუთვნი ჩემსა თავსა,
 ნიღაბს ვეძებ კაცის ფარად,
 არ აღმოვჩინდე ამის მკლავსა,
 კაცი მოდის წყნარად მყარად,
 სიმპატიაც ჩინდება რაღაც,
 ვერ ვიფერებ ფარის მასკას,
 უსუსური ვდგვარ მასთან,
 მოდის მთები უწვდომელი მისი მხრები მისი ხმები,
 მომეფერა კისერს ვნებით მითამაშებს თვალი ჩემი,
 ტუჩი- ტუჩზე ხელი წელში, ისევ კისერს მომდო ხელი,
 უკვე ვიცი მე ეს ღაამე,
 მის მკლავსა ვარ ბედი ჩემი,
 გულსა ვუმხელ ეს მე ვქენი ეს მე ვქენი,
 მოვეხვიე მხრებზე ხელით ,
 მე ახლა ვარ ბედნიერი,
 უნიღბოა ჩემი სახე,

გულწფელია ყველაფერი,
ფერმკთაღი ვარ მისი ვნებით,
ობ ეს მთები ოხ ეს ხმები,
არ დასრულდეს ღამის ვნება,
დათოვლილიც მინდა მთები,
გამოგყვები ჩემი ცეკვით,
მე მოვიგე გაფიცები,
მესმის ეხლა კაცის სიტყვა,
ითქვას ეხლა მარადისა,
ჯვარს დავიწერთ ამ მთისძირას,
ზარის ხმითა მგალობლები ბეღურითა, მთის წვერზე
ვართ ასასვლელი
უკვალავზე მე წაგიყვან,
შენ მოიგე საყვარელო გამოწვევა ამად ღირდა...

დამახი ჭითახი

დღეს კი ვერ გაუძელი უშენობის განსაცდელს,
 დამენახე ლამაზო შენი სახის ნაქვთებით,
 მენატრება შენი ხმა შენი დიდი თვალები,
 მოწუსხული ვიყო დღეს შენი სველი ტუჩებით,
 დამიტოვე გონებას ეს ლამაზი წუთები,
 ნუდა დამდლი ფიქრებით,
 კვლავ მე შენი ვიქნები,
 არ გახვიდე ჩემიდან ნუ დამანგრევ ისრებით,
 გული აფეთქებულა შენზე ფიქრით სიღრმეთი,
 დამიოკე გრძნობები მე ერთგული ვიქნები,
 მე მიყვარხარ სულ ჩუმათ,
 და ჩემში იქნები,
 დამინგრიე ცხოვრება სიყვარულის იმედით,
 ვის ვუცადო აწინ მე სულ მარტო ვიქნები

გალა

მოვარდა მუზა უბზარო,
მუზა უძალო ძლიერი,
ლომის წვერება პოეტის,
სიტყვა მომწონდა ყოველთვის,
დუქნიდან ღვინით დამთვრალი,
თბილის უძღოდა ბანცალით,
ოს ლომის წვერა პოეტო,
ბზარი არაგაქვს არაფრის,
მე ვარ და გალაკტიონი,
მოვარდა გალაკტიონი...

მოახლოვდა ქრისტეს ღამე,
ვაი მე და უი მტრებსო,
მტერს ვერ ვყვარობ რავქნა ტყვილით მოვიქცეოთ,
ოხ გამგებო გამიგეო,
სიმართლისთვის ბრძოლა ერსო,
გაგვაღვიძე ქრისტე ღმერთო,
ეს ცოდვა რით დავიდეთო,
ვიტყვით ერთს და გულს მეორეს გავივლებთო,
თავს მაღლადაც ავიწევთო, ცხვირი ზევით უფრო ზევით,
სულ მდაბით ამით ცნეთო,
ეს ცხოვრებავ საკამათოვ,
ზნეობა რად გაგვიქრეო,
აი სუფრას თამადასთან კაცი ულვაშს აიპრეხსო,
თან კამათსაც დაიწყებსო,

ზვიად გამსახურდია

შესრულებია ოთხმოცი წელი,
ვინ დააცადა სიბერე ერთი,
ვინ გააჩერა სიმართლის მთქმელი,
თავისუფლების მჩუქნელი ერის,
თავი შესწირა ბიბლიის ენით,
გადაიარა წვალება ბევრი,
გზაგასაყარი შეუქმნენ ხელით,
გადაიარა პირჯვარის წერით,
კლდე ღრე და სამეგრელოს მთებში გამოასალმეს
სიცოცხლეს ერთხმით,
ასე გაწირეს სამშობლო ჩვენი...

მომისმენია თავდაყირა პოეტების ბევრი ლექსი,
 მიფიქრია მარტო ჩემთვის,
 ვინ რა გრძნობით წერდა ლექსის,
 ერთი არის მუდამ ჩემში,
 არიცვლება ციფრი ერთი,
 მეფეთ დარჩა თავდაყირა პოეტებში,
 კოლხი მეფის ლექსი ერთი,
 ვერც ვეხები ვერც გავძედავ,
 მესაფლავე ხელთ უქმნელი სახარება, გვიგალობა მეფეშ
 ერთხანს,
 მთაწმინდაზე განისვენა,
 აპატია მგონი ღმერთმა,
 უცოდველი ცოდვით ფრენა...

მიხარია როცა გდვიძავს,
წინ დასახულ მიზნებში ვართ,
გაიხედე უფრო წინ ვართ,
მეცოდები როცა გძინავს,
მინდა წინ და მინდა იქაც,
სადაც ველი უფრო წინსვლას,
გზა ათვლილი გაზომილი უკვე შვიდად,
მე კი მივალ უკვე მშვიდათ,
დათოვლილი მხრები მიჩანს,
არ უჩივი გზაზე ყინვას,
უპრობლემო გზები ვის რა,
გავლილი მაქვს ეკლის გზითა,
მე მივაღწევ ამ ჩემ მიზანს,
ღვთის წყალობის ყოველთვის მწამს...

მზა და მთვარი

მზის სხივი აქ მინას ამტვრევს,
 სიყვარულით მომანათე,
 მზეო აჯობე ცივსა მთვარეს,
 შენი სხივით რომ ანათებს,
 სითბო მინდა გულსა მყავდეს,
 არ დაბნელდეს არ გამყინოს როგორც მთვარე,
 თორემ დარდი ვერ მახარებს,
 გულის ფეთქვა იკლებს ღამე,
 ვერ გაუძლებ მზეო მთვარეს,
 ცივ სამარეს წუ ჩამაგდებ,
 გარდვიქმნები მიწად მალე,
 ქვას ჯვარით კი დამადგამენ,
 მავ დვინოსაც დამასხამენ,
 მზეო ლხინი მეც მაცადე,
 შენი სხივი დამანათე,
 არ ვეკუთვნი ჯერ სამარეს..

მეშინია ერთი სიტყვის,
გულს მიხეთქავს მასზე ფიქრი,
გამიელვებს ისევ ვიცი,
შეგიყვარე ეს მე ვიცი,
მეშინია ისევ სიტყვის,
არ დამტოვო მარტო სხვისთვის,
ვერ გამიგებს სხვებიც ვიცი,
გულში სითბო ემატება,
ახურდება შენ ხომ იცი,
აალდება სიყვარული
მარტოობით დარჩენილი,
გულში ბზარი ნახა ალმა,
თავი იხსნა თვით სიკვდილის..

- ი. იზარე,
- ნ. ნარნარით,
- ა. აყვავდი,
- გ. ვანო,
- გ. ვახაროთ,
- ა. ამაყად,
- ნ. ნაქალაქარის,
- ი. ისტორია,
- ჭ. ქერძორიტება,
- ა. ახარებს,
- გ. გალაკტიონის,
- ა. ახლოს,
- ნ. ნაცხოვრებს,
- ჭ. ჭალაში
- ყ. ყმასო
- ვ. ვანელ ებსააქვთ,
- ი. ისეთი
- შ. შეგიყვარებენ,
- ი. ისინი, ვანსო...

„ციხეშირა საგადონალი 1“

უფალო მევედრები უფალო მევედრები,
 შეგევედრებით რათა ჩვენ გვქონდეს,
 ჯანმრთელობა და ჯანმრთელი სული,
 ჯანსაღ აზრებით სიკეთისთვის მივესალმებით,
 ერთობა გვინდა ჩვენი ერისთვის გადასარჩენი,
 მამაო ჩვენნო ერთობისთვის შეგევედრებით,
 საქართველოა დედამიწის გადამჩენელი,
 ნუც ჩვენ გაგვწირავ ამასა გთხოვთ შეგევედრებით....

„ციხეშირა საგადონალი 2“

სამშობლოსაგან წასულნი
 რა ბეჭისწერა შევიქმენთ.
 ვილოცოთ უფლის წინაშე!
 სიმართლის ახსარებებით,
 რ წმინას რომ გავიძლ იერებთ.
 გზა ქვეყნისა გვაქვს ნათელი ი.
 უფალო ჩვენ შეგვიწყალ ე!
 სამშობლოსაგან წავედით,
 ცოდვას ვამატებთ ცოდ ვაზე.
 შენ შეგვიწყალე უფალო!
 სამშობლ ოს კარი გაგვიდე.
 შენ შეგვიწყალე უფალო,
 სამშობლ ოსაგან წასუ ლ ნი,
 შენ შეგვიწყალე უფალო....

დედა

როგორახარ ნეტავ დედა,
ფიქრებშიხარ ისევ ჩემთან,
როგორ ვცხოვრობ სხვის სახლს ნეტავ,
გენატრები ვიცი დედა,
მიხარია ეს კი იცი კაცებსაც რომ კიდევ შენ ზრდი,
საზრდოება მოგვეს ღმერთმა,
და ვიხაროთ ყველამ ერთად,
სულ ცრემლები ნუგსდის დედა,
გამახარე დედამიწას უნდა იყო დიდხანს დედა,
სამოთხეში ხომიცირო კიმყავს დედა,
მფარველად მყავს ჩემ ბეჭედა,
ვენაცვალე მის გამზღველსა,
უხუცესი არის ეხლა...

გისოსებს

გისოსებს მიღმა ზღვა არის.

ტალღებიც ცოტა თან არის.

მთვარის შუქია ლამაზად ანარეკლების ზღვა არის.

ჩვენ კი ვახსენეთ ვანგოში,

ხან პოეზიას გავშორდით.

მაინც ტალღები გვაწყნარებს.

გისოსებსაც კი გავშორდით.

ზღვის ტალღები კი გვაგრილებს.

ლუდის სმით ვართ, სიტყვებით ჩვენი ცხოვრების მიზნებით.

მთვარე ზემოდან დაგვყურებს.

თან გვეუბნება ტალღის რითმებით.

მაგას თქვენს სამშობლოში მიხვდებით....

გენეტიკა

საქართველოში მთაზე გაენათსა.
 ეკლესიაში პირჯვარი გადავიწერე.
 სამი თითით და სამჯერ ხელახლა.
 წმინდა გიორგის მოოქროვილი ხატი მენახა.
 სარკმევლის სუნში გალობის ხმაში.
 მამფორიების გვარზე ლოცვა დავიწყე მაშინ.
 გული გამეხსნა წარბი გამეხსნა.
 ციდან გაენათს სხივი დაეცა.
 ციდან საყვირის ხმაც კი მომესმა.
 ციდან ანგელოზები ბევრი დაეძვა...

ცა

ვერ მოგა მორე თეთრ კედლებს სახლში,
 გულმა გაგვწია ერთ გრძნობით ძალით,
 მივყევით დამის უკვალავ გზა კვალს
 მიუ ახლ ოვდ ით მდ უ მარე ტბასაც
 ცას რომ გავხედე არ ჩანდა კარგათ
 ვარსკვლ ავი იყო სულ სამი სადღაც
 ჩვენ ხომ სამშობლ თს არა ვართ არა
 ჩვენ იმერეთ ში რომ ვიყოთ ახლა
 გადავწვებოდით ეზოში ბალახს
 ულევ ვარსკვლავი ცა მოჭედილი
 ჩავიც იქრებდით მოწყვეტილ ვარ სკვლ ავს..

თუ ხვდები

ხან თ ოვლ მა იცის გაყინვა,
 ხან მზემ მიწების გვალ ვაო,
 შენ სად და წახვალ თუ ხვდები,
 თუ ფრთები ბეჭებს არ გაქვსო,
 ღრუბლებში გინდ ა გალობა
 ჩიტუ ნა მანდ აც კი ახვალო
 თუ ფ რენას შენ ვერ ისწავლი
 მე ხომ ისედ აც აქ ვარ ო..

თვალები

ოოეს თვალები ტუჩზე ბზარები გულში ალები,
 ჩემთან ადარხარ რა შორს წახვედი,
 თოვლის ფიბქებსაც მიწას ჩავყევი,
 ზეცას ადარ ჩანს შენი თვალები,
 რა შორს წახვედი როგორ დამნებდი,
 დრამის ავტორო ისევ გავცეცხლდი,
 ისევ ალები ჩემში გალთვები ფიფქად გაქრები,
 მე მზე მიყვარდა სხივის სარტყელით,
 რვა წუთს ვუცდიდი წარსულს ვუყვირი გოგოვ ნუ ტირი,
 მთვარევ გამოჩნდი გაქრა წყურვილი...

მთვარე

მე შენთვის ვარ ჩემო მთვარევ,
 დღეს ბედობის ჩვეულ ღამეს,
 არ მაძინებს შენი ვნება
 ტუჩი ტუჩებს როცა ახლე,
 ჩემო მთვარევ ჩემო ვაპმევ
 შენი სახლი მიმასწავლე,
 ქალის ვნებას მოვწყდე სადმე,
 ცივ კედელსაც მიმანარცხე,
 ისევ გადის დღე და ღამე ეშმაკიც რომ გიღალატებს,
 არ მასვენებს შენზე ფიქრი არ ოკდება ჩემში ჟინი,
 არ ალდება ჩვენ გულებში მწარე სიმწრის იყო ის კი,
 ღამის დარაჯს რად ავძახო,
 დავიმოწმო მთვარე რისთვის,
 ერთი რისთვის ღმერთო რისთვის...

მზის სხივით ვარ წაფერი,
გაყინულა გზაზედა ეს მაღალი ჭადრები,
უშრიალო ხეები დაპუტული ხეები უბედური დოების,
ამიცრემლა თვალები,
ღია დამხვდა კარები სასაფლაოს ჯაჭვები უჟანგავი ნაჭედი
ბევრი ოფლით ნაძერწი,
ბევრთან ანგელოზია მოდარაჯე თვალებით,
ოხ ეშმაკო აქაც ხარ ჩემზე მიწა ნათხრელი მესაფლავეს
განცდებში,
დახატულა ტაძარში ქრისტე ხალხით ნასდევნი,
ეს ფრესკების გონება მე სულ მომაგონდება,
ფიქრი ღამისა ფიქრი ტანჯვისა,
ვერ გაგაჩუმე ფიქრო ტანჯვისა ...

ჩემი დარიაჯია როცა თავს მადგინა,
გავყევ მე ჩემს ლანდებს,
ჩუმად მთვარის შუქზე ურცხვად მე რომ დამზღვევს,
ღმერთო რატომ მტანჯე,
ერთხელ დამეხმარე,
ჩარჩოს ვერ გაუძლებ,
სხვისგან შენაკერებს,
ჩემი უნარია თავის უფალი ვარ,
ეხლა ფიქრის დროა,
მარტო მთვარის კოცნა წელზე ხელის მოსმა,
ისევ ღვინის მოსმა,
ისევ ქალით თრობა...



K336.861

3

333.861
333.861



ISBN 978-9941-8-3167-6

A standard linear barcode representing the ISBN number 978-9941-8-3167-6.

9 789941 831676